



მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 164

2016 წლის 05 თებერვალი

ქ. მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში შემავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების პრივატიზებისა და იჯარით განკარგვის მიზანშეწონილობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 24 ოქტომბრის №286 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 02.02.2016წ. №71 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში შემავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების პრივატიზებისა და იჯარით განკარგვის მიზანშეწონილობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 24 ოქტომბრის №286 ბრძანებაში და სამუშაო ჯგუფის შემოდგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1. ნუგზარ ხუხუნაიშვილი - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე.

სამუშაო ჯგუფის წევრები:

- 1.2. მადონა ჯიქია - მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე;
- 1.3. შალვა ქემოკლიძე - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;
- 1.4. შოთა აბაშვილი - სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი;
- 1.5. ზაზა მაჩხანელი - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ეკონომიკის განყოფილების უფროსი;



- 1.7. ალექსანდრა მამულაშვილი - მდივანი - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი;
- 1.6. ივანე ჯირკვალაძე - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე;
- 1.8. ნიკოლოზ კვიციანი - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი.

3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის  
გამგებელი



ზურაბ აბესაძე

